



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 48/00

„2“ ივნისი 2010

ქ. თბილისი

„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის  
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის  
შემსრულებელი

ნინო ჩადუნელი

„02“ „06“ 2010 წელი

გვ. N2

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტში 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური  
კამერალური აუდიტის შედეგების შესახებ

აქტი

შინაარსი / სამიზელი:

ნაწილი I. შესავალი

ნაწილი II. ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში  
ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და  
კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო  
კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება).
3. ნაწილი III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი .

ნაწილი IV. აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

#### I. შესავალი

აუდიტის ფორმა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური კამერალური აუდიტი.

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 თებერვლის N8/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32, ტელ: 93 56 96, ფაქსი: 92 09 38.

აუდიტის ჯგუფი - აუდიტორები: ენვერ დოლიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და თენგიზ გურასაშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 25.02.2010 – 07.04.2010 .

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

შემოკლებანი:

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

ბიუჯეტი - სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტრო - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სსიპ „იუსტიციის სკოლა“ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“.

## II. ძირითადი ტექსტი

### 1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა;

#### 1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში

ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 3012.08 წლის N945–რს საქართველოს კანონით, საერთო სასამართლოებს დაფინანსება განესაზღვრა 38428,1 ათასი ლარით. 2009 წლის 11 ივლისის N1410–რს საბიუჯეტო კანონით შრომის ანაზღაურების დაფინანსება შემცირებულ იქნა 1000,0 ათასი ლარით, ცვლილებების საფუძველს წარმოადგენდა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 24 აპრილის N957 წერილი ფინანსთა სამინისტროსადმი, სადაც აღნიშნულია, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი რიგი სასამართლოების გაერთიანება და სასამართლოს აპარატის ხელფასების ზრდა არ განხორციელებულა, რამაც განაპირობა შრომის ანაზღაურების მუხლში ეკონომია.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 ოქტომბრის N800 განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 5,0 ათასი ლარი დამსახურებული მოსამართლის ზურაბ რუხაძის გარდაცვალების გამო, ოჯახისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

ამ ასიგნების ფარგლებში საბიუჯეტო წლის მანძილზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 9 შემთხვევაში განხორციელებულია შიდა მუხლობრივი გადანაწილება, რაზედაც წარმოდგენილია, როგორც საერთო სასამართლოების მიერ ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი ასიგნებების გადანაწილების მიზანშეწონილობის შესახებ წერილები, ასევე ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და სახაზინო სამსახურის ცნობები, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებისა და ფინანსური მდგომარეობის (დანართი N3) შესახებ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ცვლილებების უმეტესი ნაწილი შეეხო შრომის ანაზღაურების მუხლს (99,9 %), რომელიც შემცირებულია 3037,0 ათასი ლარით. მათ შორის: „საქონელი და მომსახურების“ მუხლში გადატანილია – 1185,0 ათასი ლარი, „სოციალური უზრუნველყოფის,“ ქვემუხლში – 15,0 ათასი ლარი, არაფინანსური

აქტივების მუხლში – 1837,0 ათასი ლარი. სხვა ხარჯების მუხლიდან 2,6 ათასი ლარი გადატანილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების მუხლში. „შრომის ანაზღაურების“ მუხლში 700,0 ათასი ლარი მეორე კვარტალიდან გადატანილია მესამე კვარტალში. წლის განმავლობაში მუხლებს შორის გადანაწილებულმა თანხამ შეადგინა – 3039,6 ათასი ლარი, რაც გამოყოფილი ასიგნების საერთო მოცულობის 8 % შეადგენს.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად საერთო სასამართლოების დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 37433,1 ათასი ლარი, რაც წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათასი ლარი)

| საბიუჯეტო<br>კლასიფიკაციის მუხლები | დამტკიცებული<br>გეგმა | ცვლილება |           | დაზუსტებული<br>გეგმა |
|------------------------------------|-----------------------|----------|-----------|----------------------|
|                                    |                       | გაზრდა   | შემცირება |                      |
| ხარჯები:                           | 33426,5               | 1205,0   | 4039,6    | 30591,9              |
| შრომის ანაზღაურება                 | 25792,4               | 0.0      | 4037,0    | 21755,4              |
| საქონელი და მომსახურება            | 6375,3                | 1185,0   | 0.0       | 7560,3               |
| სუბსიდიები                         | 761,8                 | 0.0      | 0.0       | 761,8                |
| სოც. უზრუნველყოფა                  | 150,0                 | 20,0     | 0.0       | 170,0                |
| სხვა ხარჯები                       | 347,0                 | 0.0      | 2.6       | 344,4                |
| არაფინანსური აქტივების<br>ზრდა     | 5001,6                | 1837,0   | 0.0       | 6838,6               |
| ვალდებულებების კლება               | 0.0                   | 2.6      | 0.0       | 2.6                  |
| საერთო სასამართლოები<br>(09 00)    | 38428,1               | 3044,6   | 4039,6    | 37433,1              |

## 1.2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის (09 00) 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების შედეგად დაზუსტებული ასიგნებებისა (37433,1 ათასი ლარი) და აღებული ვალდებულებების (37137,3 ათასი ლარი) ფარგლებში დაფინანსებამ (საკასო შესრულებამ) შეადგინა 36919,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 31124,4 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით გადასახდელების შესრულების მდგომარეობა 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილის სახით ათას ლარებში:

| საბიუჯეტო<br>კლასიფიკაციის მუხლები | დაზუსტებული<br>გეგმით | გადახდა<br>(საკასო<br>ხარჯი) | ფაქტობრივი<br>ხარჯი | სხვაობა<br>(4-3) | შესრულება %-<br>ში (3/2) |
|------------------------------------|-----------------------|------------------------------|---------------------|------------------|--------------------------|
| 1                                  | 2                     | 3                            | 4                   | 5                | 6                        |
| სულ ხარჯები:                       | 30591,9               | 30158,9                      | 31124,4             | 965,5            | 98,6                     |
| შრომის ანაზღაურება                 | 21755,4               | 21722,1                      | 21722,1             | 0                | 99,8                     |
| საქონელი და მომსახურება            | 7560,3                | 7425,4                       | 7484,3              | 58,9             | 98,2                     |
| ძირითადი კაპიტალის<br>მოხმარება    |                       | 0                            | 906,6               | 906,9            |                          |
| სუბსიდიები                         | 761,8                 | 602,4                        | 602,4               | 0                | 79,1                     |
| სოც.უზრუნველყოფა                   | 170,0                 | 168,1                        | 168,1               | 0                | 99,9                     |
| სხვა ხარჯები                       | 344,4                 | 240,9                        | 240,9               | 0                | 69,9                     |
| არაფინანსური აქტივების<br>ზრდა     | 6838,6                | 6758,3                       | 0                   | 0                | 98,8                     |
| ვალდებულებების კლება               | 2,6                   | 2,6                          | 0                   | 0                | 100,0                    |
| სულ                                | 37433,1               | 36919,8                      | 0                   | 0                | 98,6                     |

საკასო ხარჯში ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება, შესაბამისად 6758,3 ათასი ლარის და 2,6 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ფაქტობრივ ხარჯებში არ აისახება, ვინაიდან აღნიშნულ ოპერაციებზე მიმართული სახსრები კაპიტალის წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირება „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ სახით შეადგენს 906,6 ათას ლარს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტობრივ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სასაწყობო მეურნეობიდან გაცემული სასაქონლო ფასეულობებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2009 წელს ფაქტობრივად გაწეულმა ზოგიერთი სახის დანახარჯმა შეადგინა 23431,9 ათასი ლარი. აქედან:

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 22114,8 ათასი ლარი. მათ შორის: შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულია 392,7 ათასი ლარი (სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან), ხოლო საშტატო განაკვეთით 21722,0 ათასი ლარი.

საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 17483,1 ათას ლარს, პრემია, დახმარება, კომპენსაცია 1696,5 ათას ლარს(ხელფასის 9,7%), დანამატი 2542,5 ათას ლარს(ხელფასის 14,5%).

**სამსახურებრივი ავტომობილების მომსახურებაზე** გაწეულმა ხარჯმა სულ შეადგინა 561,1 ათასი ლარი. მათ შორის საწვავის ხარჯმა 319,3 ათასი ლარი(56,9%), რემონტისა და საპოხი მასალების ხარჯმა კი 241,8 ათასი ლარი(43,1%). გარდა ამისა დამატებით გაწეულია 302,6 ათასი ლარის ხარჯი, რაც მოიცავს ტრანსპორტის დაქირავების, გენერატორებისათვის ანტიფრიზის და აკუმულატორების, ავტომანქანების სამეთვალყურეო სისტემის სააბონენტო გადასახადის, გათბობის მიზნით დიზელის საწვავის შეძენის და ლიფტის მიმდინარე შეკეთების ხარჯებს.


**კავშირგაბმულობის ხარჯებმა** შეადგინა 422,0 ათასი ლარი. აქედან მობილური ტელეფონით სარგებლობის ხარჯებმა 207,9 ათასი ლარი(49,2%), სხვა სატელეფონო კავშირის ხარჯებმა კი 214,2 ათასი ლარი(50,8%).

**მივლინების ხარჯმა** შეადგინა 66,5 ათასი ლარი.

**სამედიცინო დაზღვევისა და სოციალური დახმარების ხარჯებმა** შეადგინა 267,5 ათასი ლარი. აქედან სამედიცინო დაზღვევის ხარჯებია 99,5 ათასი ლარი(37,1%), სოციალური დახმარების ხარჯები 168,1 ათასი ლარი(62,9%).

**წარმომადგენლობითმა ხარჯებმა** 2,9 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით საკასო შესრულებამ მთლიან ხარჯებთან მიმართებით (%-ში) შემდეგი სახე მიიღო:



2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

2.1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებანი და შეფასება:

2009 წლის მანძილზე ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ცვლილებების შედეგად 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის კაპიტალი შეადგენდა 30248,3 ათას ლარს.

|                                                                  |          |         |
|------------------------------------------------------------------|----------|---------|
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - წმინდა ღირებულება                   | შენიშვნა | 21581,9 |
| ზრდა                                                             |          |         |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება                                  | 1        | 36919,8 |
| გრანტები                                                         |          | 0       |
| სხვა შემოსავლები                                                 |          | 0       |
| უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი აქტივები                            | 2        | 2235,9  |
| უსასყიდლოდ მიღებული მატერიალური მარაგები                         | 2        | 429,4   |
| უსასყიდლოდ მიღებული არაწარმოებული აქტივები                       | 2        | 434,0   |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები) | 3        | 132,6   |
| სულ:                                                             |          | 40151,7 |
| შემცირება                                                        |          |         |
| ხარჯები                                                          | 1        | 31124,4 |
| უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი აქტივები                          | 2        | 127,8   |
| უსასყიდლოდ გადაცემული მატერიალური მარაგები                       |          | 0       |
| უსასყიდლოდ გადაცემული არაწარმოებული აქტივები                     |          | 0       |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები (აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები) | 3        | 28,2    |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები                               | 4        | 204,9   |
| სულ:                                                             |          | 31485,3 |
| წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში                              |          | 8666,4  |
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - წმინდა ღირებულება                    |          | 30248,3 |
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2008წ - გაუნაწილებელი მოგება                |          | 0       |
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - გაუნაწილებელი მოგება                 |          | 0       |
| ნაშთი - 31 დეკემბერი 2009 - დაუფარავი ზარალი                     |          | 0       |
| სულ კაპიტალი                                                     |          | 30248,3 |

შენიშვნა 1

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა და ფაქტობრივი ხარჯის მდგომარეობა განხილულია 1.2. საკითხში.

შენიშვნა 2

არაფინანსური აქტივების მოძრაობა 2009 წლის განმავლობაში

ათას ლარებში

| არაფინანსური აქტივების დასახელება | შენ/ნაგებ-ბი | სატრა ნ. საშ-ბი | სხვა მანქ/დან და ინვ-რი | არამატ მირ.აქტ | დაუმთ .მშენ-ბა | სხვა ძირ აქტ-ბი | მიწა  | არაწ. არამა ტ.აქტ-ბი | მატ. მარ-ები | სულ     |
|-----------------------------------|--------------|-----------------|-------------------------|----------------|----------------|-----------------|-------|----------------------|--------------|---------|
| ნაშთი 01.01.09წ.                  | 12753,0      | 858,2           | 4995,5                  | 263,1          | 943,0          | 0               | 419,6 | 0                    | 1255,0       | 21487,6 |
| მიღება:                           |              |                 |                         |                |                |                 |       |                      |              |         |
| შესყიდვა                          | 2987,7       | 303,3           | 2179,9                  | 376,5          | 0              | 0               | 0,0   | 0,0                  | 2108,9       | 7956,3  |
| უსასყიდლოდ                        | 2073,6       | 75,4            | 86,9                    | 0              | 0              | 0               | 434,0 | 0                    | 429,1        | 3099,3  |

|                      |         |        |        |       |       |     |      |     |        |            |
|----------------------|---------|--------|--------|-------|-------|-----|------|-----|--------|------------|
| სხვა ეკ. ნაკადები    | 0       | 34,1   | 0      | 0     | 0     | 0   | 0    | 0   | 0      | 34,1       |
| <b>გასვლა:</b>       |         |        |        |       |       |     |      |     |        | <b>0,0</b> |
| უსასყიდლოდ           | 33,0    | 0      | 94,9   | 0,0   | 0,0   | 0   | 0    | 0,0 | 0      | 127,9      |
| სხვა ხარჯებით        | 0       | 7,8    | 0,3    | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0    | 0,0 | 0,0    | 8,1        |
| სხვა ეკ. ნაკადები    | 11,8    | 0      | 341    | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0  | 0,0 | 0      | 45,9       |
| მირ.კაპ-ის მოხმარება | 178,0   | 123,3  | 581,0  | 24,3  | 0     | 0   | 0,0  | 0,0 | 0,0    | 906,6      |
| საქ.და მომსახ-ბით    | 0,0     | 0,0    | 0,0    | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0  | 0,0 | 2166,5 | 2166,5     |
| ნაშთი 01.01.2010წ.   | 17591,5 | 1139,9 | 6552,0 | 615,3 | 943,2 | 0   | 83,6 | 0   | 1626,8 | 29330,4    |

### შენიშვნა 3

წმინდა ღირებულების ზრდა - სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) -132,6 ათასი ლარს წარმოადგენს: აქედან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების და სახაზინო სამსახურის 2009 წლის 25 აგვისტოს N18-02-14/1721/5952 წერილის თანახმად ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან შპს „იფანი“-ს სასარგებლოდ ჩამოიწერა საერთო სასამართლოების დავალიანება 130,0 ათასი ლარი, ხანდაზმულობის გამო ჩამოწერილია 2,6 ათასი ლარი.

წმინდა ღირებულების შემცირება-სხვა ეკონომიკური ნაკადები (მოცულობითი ცვლილებები) -28.2 ათას ლარს წარმოადგენს: აქედან, ხანდაზმულობის გამო ჩამოწერილია 20,4 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნებართვების საფუძველზე რელიზებულია 7,8 ათასი ლარის ღირებულების 4 ერთეული სატრანსპორტო საშუალება.

### შენიშვნა 4

წმინდა ღირებულების შემცირება - ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები (3224 საბ.ანგარიშზე ასახული) წარმოადგენს ბიუჯეტში დაბრუნებულ თანხებსა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსურ უზრუნველყოფას. მათ შორის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2009 წლის 21 ოქტომბრის N18-02-14 2/28/7475 წერილის საფუძველზე ჩამოწერილია 204,6 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენდა შ.პ.ს. „ამაღლება-98 “ და შ.პ.ს.

„პირამიდა-2002“-ზე შესაბამისად რიცხულ 65.0 ათას და 139,6 ათას ლარის დავალიანებებს (თანხა გარანტორი სადაზღვევო კომპანიების მიერ დაბრუნებული იქნა ხაზინაში), ასევე, ხაზინაში დაბრუნებულია მივლინების თანხა 0,2 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ერიცხებოდა, როგორც დებიტორული ასევე კრედიტორული დავალიანებები. კერძოდ, დებიტორული დავალიანების სახით ირიცხებოდა 574.9 ათასი ლარი. 2009 წლის განმავლობაში წარმოშობილია 1153,6 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობა გამოწვეულია წინასწარი გადახდებით, რომელთა დამოწმების ვადები 2010 წლის 1 იანვრისათვის არ იყო დამდგარი.

წინა წლებიდან მომდინარე დებიტორული დავალიანებები საანგარიშო პერიოდში დაფარულია 457,1 ათასი ლარის ოდენობით. 2010 წლის 1 იანვრისათვის ნაშთად ირიცხება 1271,3 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 480,7 ათას ლარს. მათ შორის: ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 376,8 ათასი ლარი, საშემოსავლო გადასახადი 7,4 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი 88,3 ათასი ლარი, საწევროები და ერთჯერადი შენატანები 8,1 ათასი ლარი. 2009 წელს წარმოშობილია მხოლოდ 0,1 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება (მივლინების). დაფარულია 135,5 ათასი ლარის დავალიანება. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანების ნაშთად ირიცხება 345,3 ათასი ლარი.

ცალკეული საბალანსო ანგარიშების მიხედვით დავალიანებების წარმოქმნისა და დაფარვის მდგომარეობამ შემდეგი სახე მიიღო:

| დებიტორული დავალიანება                   |                 |                   |                          | კრედიტორული დავალიანება                |                  |                 |                          |
|------------------------------------------|-----------------|-------------------|--------------------------|----------------------------------------|------------------|-----------------|--------------------------|
| საბალანსო ანგარიშის დასახელება           | ნაშთი 01.01.09წ | ნაშთი 01.01.10. წ | 01.01.09-მდე წარმოქმნილი | საბალანსო ანგარიშის დასახელება         | ნაშთი 01.01.09 წ | ნაშთი 01.01.10წ | 01.01.09-მდე წარმოქმნილი |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 558,4           | 1271,3            | 117,7                    | ვალდ-ები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 376,8            | 244,2           | 244,2                    |

|                                      |       |        |       |                                                                           |         |         |       |
|--------------------------------------|-------|--------|-------|---------------------------------------------------------------------------|---------|---------|-------|
| მოთხოვნები<br>მივლინებით             | 0,4   | 0      | 0     | ვალდებულებები<br>მივლინებით                                               | 0       | 0,1     | 0     |
| ანგ.ვალდ. პირების<br>მიმართ მოთხოვნა | 16,1  | 0      | 0     | ბიუჯეტის წინაშე სხვა<br>ვალდ-ები (სოც.)                                   | 88,3    | 88,3    | 88,3  |
|                                      |       |        |       | გადასახდელი<br>საშემოსავლო<br>გადასახადი/საწევროები<br>და ერთჯ.შენატენები | 7,4/8,1 | 4,5/8,1 | 12,6  |
| სულ დ/დ                              | 574,9 | 1271,3 | 117,7 | სულ კ/დ                                                                   | 480,6   | 345,2   | 345,1 |

### III. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში აქტის ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორები:

ენვერ დოლიძე



02.06.2016წ.

თენგიზ გურასაშვილი



02.06.2016წ.